ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №26

24.10.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **ეკა ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2015 წლის 3 ოქტომბრის №12-03182766-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2015 წლის 3 ოქტომბრის №12-03182766-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - **№01182613520-67; №01182572-67; №01182463316-67; №01182572141-67; №011821628-67**).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 5 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, კალოუბანის ქუჩა №40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.19.20.021.099; 01.19.20.021.100; 01.19.20.021.087; 01.19.20.021.046; 01.19.20.021.063; ცვლილების ფართობი: 7924 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№01182613520-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182613520-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კალოუბანის ქუჩა №40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.19.20.021.099; 01.19.20.021.100; 01.19.20.021.087; 01.19.20.021.046; 01.19.20.021.063, საერთო ფართობი: 7924 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის

შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, კალოუბანის ქ. №40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 19 მაისის №1194 განკარგულებით დადგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, კალოუბანის ქუჩა №40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (№№01.19.20.021.099; 01.19.20.021.100; 01.19.20.021.087; 01.19.20.021.046; 01.19.20.021.063, ფართობი: 7924 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) **- ქ. თბილისში, ალიხანიანის ქუჩა № 3-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.097.013, ცვლილების ფართობი: 7 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების შესახებ (№01182572-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182572-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ალიხანიანის ქუჩა №3-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.097.013) ნაწილზე (ფართობი: 7 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებულ მიწის მცირე ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) **- ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს (ნაკვეთი №05/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.17.005.090; 01.11.17.005.091; 01.11.17.005.092; 01.11.17.005.093; 01.11.17.005.094; 01.11.17.005.095; 01.11.17.005.096; 01.11.17.005.097; 01.11.17.005.098; 01.11.17.007.099; 01.11.17.005.100; 01.11.17.005.101; 01.11.17.005.102; ფართობი: 5190 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№01182463316-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182463316-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს (ნაკვეთი №05/018)

არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.17.005.090; 01.11.17.005.091; 01.11.17.005.092; 01.11.17.005.093; 01.11.17.005.094; 01.11.17.005.095; 01.11.17.005.096; 01.11.17.005.097; 01.11.17.005.098; 01.11.17.007.099; 01.11.17.005.100; 01.11.17.005.101; 01.11.17.005.102; ფართობი: 5190 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის დასახლებაში, IV მიკრორაიონში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.005.018) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 მარტის №70 განკარგულებით დადგენილია ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს (ნაკვეთი №05/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.17.005.090; 01.11.17.005.091; 01.11.17.005.092; 01.11.17.005.093; 01.11.17.005.094; 01.11.17.005.095; 01.11.17.005.096; 01.11.17.005.097; 01.11.17.005.098; 01.11.17.005.099; 01.11.17.005.101; 01.11.17.005.102, ფართობი: 5190 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - **ქალაქ თბილისში, გ. ახვლედიანის ქუჩაზე, №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.03.024.002, ცვლილების ფართობი: 17 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების შესახებ (№01182572141-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182572141-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გ. ახვლედიანის ქუჩა №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.03.024.002) ნაწილზე (ფართობი: 17 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებულ მიწის მცირე ნაწილზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ე" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5) - **ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კვ.მ. საქვაბე**

გუმბათის მიმდებარედ, ქალაქ თბილისში, კუკური გოგიაშვილის I შესახვევი №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.013.836, 01.72.14.013.827, 01.72.14.013.121, საერთო ფართობით: 4 958) საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (№011821628-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№011821628-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. საქვაბე გუმბათის მიმდებარედ, ქალაქ თბილისში, კუკური გოგიაშვილის I შესახვევი №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.013.836, 01.72.14.013.827, 01.72.14.013.121, საერთო ფართობით: 4 958) მოთხოვნილია ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. საპროექტო ტერიტორია ემიჯნება საავტომობილო გზას და რეალურად მდებარეობს სამრეწველო ობიექტებით განვითარებულ არეალში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური პროექტის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

გარდა ზემოაღნიშნულისა, მომხსენებლის დამატებითი ინფორმაციის თანახმად, დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილში დაშვებულია შეცდომა - საკადასტრო მიწის ნაკვეთის კოდი არ არის სრულყოფილად მითითებული (საკადასტრო კოდი: ***№№01.72.14.013.,*** 01.72.14.013.827, 01.72.14.013.121), რაც საჭიროებს გასწორებასა და განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ე" ქვეპუნქტში მითითებულ სრულ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანას (ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. საქვაბე გუმბათის მიმდებარედ, ქალაქ თბილისში, კუკური გოგიაშვილის I შესახვევი №2-ში მდებარ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ***№№01.72.14.013.836,*** 01.72.14.013.827, 01.72.14.013.121, საერთო ფართობით: 4958 კვ.მ.)).

მომხსენებლის ინფორმაცია დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5-ის ტექსტურ ნაწილში, საკადასტრო კოდის მითითებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომისა და მისი გასწორების აუცილებლობის თაობაზე კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან (სულ: 5 წინადადება - №01182613520-67; №01182572-67; №01182463316-67; №01182572141-67; №011821628-67) დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა და შეკითხვები არ დასმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 3 ოქტომბრის **№11-03182766-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - **№01182613520-67; №01182572-67; №01182463316-67; №01182572141-67; №011821628-67)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე